

დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №4
2025 წლის 26 თებერვალი

ქ. დმანისი

„დმანისის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 25 ნოემბრის №31 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტის, 24-ე მუხლის „დ.ა“ ქვეპუნქტისა და საქართველოს ორგანული კანონის „ნორმატიული აქტების შესახებ“ მე-20 მუხლის თანახმად, დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1. შევიდეს ცვლილება „დმანისის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შეს. დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 29/11/2024, სარეგისტრაციო კოდი: 190020020.35.156.016538) და დათანდართული რედაქციით:

თავი I

დმანისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ძირ

მუხლი 1. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ბალანსი

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ბალანსი თანდართული რედაქციით:

№	დასახელება	2023 წლის ფაქტი	2024 წლის გეგმა			2025 წლის გეგმა		
			სულ	საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	სულ	საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები
I	I. შემოსავლები	23 956,2	26 257,5	19 623,9	6 633,6	29 832,1	23 942,2	5 889,9
1.1	გადასახადები	14 443,7	17 197,6	17 197,6	0,0	21 065,2	21 065,2	0,0
1.3	გრანტები	6 256,7	6 647,9	14,3	6 633,6	5 889,9	0,0	5 889,9
1.4	სხვა შემოსავლები	3 255,8	2 412,0	2 412,0	0,0	2 877,0	2 877,0	0,0
II	II. ხარჯები	14 864,8	17 684,8	16 498,8	1 186,1	19 432,8	18 474,5	958,3
2.1	შრომის ანაზღაურება	3 030,0	3 508,4	3 489,7	18,7	4 042,7	4 021,7	21,0
2.2	საქონელი და მომსახურება	3 501,5	4 195,2	3 208,0	987,2	3 944,6	3 200,0	744,6
2.4	პროცენტი	20,3	20,0	20,0	0,0	10,0	10,0	0,0
2.5	სუბსიდიები	4 486,2	6 506,5	6 327,3	179,2	7 861,3	7 669,6	191,7
2.6	გრანტები	1 885,0	1 147,0	1 147,0	0,0	567,9	567,9	0,0



2.7	სოციალური უზრუნველყოფა	1 227,4	1 123,6	1 122,6	1,0	1 253,0	1 252,0	1,0
2.8	სხვა ხარჯები	714,4	1 184,1	1 184,1	0,0	1 753,3	1 753,3	0,0
III	III .საოპერაციო სალდო	9 091,4	8 572,7	3 125,2	5 447,5	10 399,3	5 467,7	4 931,6
IV	IV.არაფინანსური აქტივების ცვლილება	9 993,4	13 592,0	6 599,3	6 992,7	14 045,5	7 534,9	6 510,6
	ზრდა	10 119,7	13 792,0	6 799,3	6 992,7	14 045,5	7 534,9	6 510,6
	კლება	126,3	200,0	200,0	0,0	0,0	0,0	0,0
V	V.მთლიანი სალდო	-902,0	-5 019,3	-3 474,1	-1 545,2	-3 646,2	-2 067,2	-1 579,0
VI	VI. ფინანსური აქტივების ცვლილება	-1 810,3	-5 074,9	-3 529,7	-1 545,2	-5 824,6	-4 245,6	-1 579,0
	ზრდა	0,0	0,0	0,0	0,0	-3 701,8	-2 122,8	-1 579,0
	ვალუტა და დეპოზიტები	0,0	0,0	0,0	0,0	-3 701,8	-2 122,8	-1 579,0
	სესხები	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
	აქციები და დეპოზიტები	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
	კლება	1 810,3	5 074,9	3 529,7	1 545,2	3 701,8	2 122,8	1 579,0
	ვალუტა და დეპოზიტები	1 810,3	5 074,9	3 529,7	1 545,2	3 701,8	2 122,8	1 579,0
	სესხები	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
	აქციები და დეპოზიტები	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
VII	VII ვალდებულებების ცვლილება	-55,6	-55,6	-55,6	0,0	-55,6	-55,6	0,0
	ზრდა	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
	საშინაო	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
	საგარეო	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
	კლება	55,6	55,6	55,6	0,0	55,6	55,6	0,0
	საშინაო	55,6	55,6	55,6	0,0	55,6	55,6	0,0
	საგარეო	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
VIII	VIII ბალანსი	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0

მუხლი 2. ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება



დასახელება	2023 წლის ფაქტი	2024 წლის გეგმა			2025 წლის გეგმა		
		სულ	საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	სულ	საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები
შემოსულობები სულ	24 082,5	31 532,4	23 353,6	8 178,8	33 533,9	26 065,0	7 468,9
შემოსავლები	23 956,2	26 257,5	19 623,9	6 633,6	29 832,1	23 942,2	5 889,9
არაფინანსური აქტივების კლება	126,3	200,0	200,0	0,0	0,0	0,0	0,0
ფინანსური აქტივების კლება (ნაშთის გამოკლებით)	0,0	5 074,9	3 529,7	1 545,2	3 701,8	2 122,8	1 579,0
გადასახდელები	25 040,1	31 532,4	23 353,6	8 178,8	33 533,9	26 065,0	7 468,9
ხარჯები	14 864,8	17 684,8	16 498,8	1 186,1	19 432,8	18 474,5	958,3
არაფინანსური აქტივების ზრდა	10 119,7	13 792,0	6 799,3	6 992,7	14 045,5	7 534,9	6 510,6
ვალდებულებების კლება	55,6	55,6	55,6	0,0	55,6	55,6	0,0
ნაშთის ცვლილება	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0

თავი III

დმანისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯები, არაფინანსური აქ

მუხლი 7.მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯები

განისაზღვროს დმანისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯები 19 423,8 ათასი ლარის ოდენობით:

დასახელება	2023 წლის ფაქტი	2024 წლის გეგმა			2025 წლის გეგმა		
		სულ	საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	სულ	საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები
ხარჯები	14 864,8	17 684,8	16 498,8	1 186,1	19 432,8	18 474,5	958,3
შრომის ანაზღაურება	3 030,0	3 508,4	3 489,7	18,7	4 042,7	4 021,7	21,0
საქონელი და მომსახურება	3 501,5	4 195,2	3 208,0	987,2	3 944,6	3 200,0	744,6
პროცენტი	20,3	20,0	20,0	0,0	10,0	10,0	0,0
სუბსიდიები	4 486,2	6 506,5	6 327,3	179,2	7 861,3	7 669,6	191,7
გრანტები	1 885,0	1 147,0	1 147,0	0,0	567,9	567,9	0,0



სოციალური უზრუნველყოფა	1 227,4	1 123,6	1 122,6	1,0	1 253,0	1 252,0	1,0
სხვა ხარჯები	714,4	1 184,1	1 184,1	0,0	1 753,3	1 753,3	0,0

მუხლი 8. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება

განისაზღვროს დმანისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება **14 045,5** ათას

1. განისაზღვროს დმანისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ზრდა **14 045,5** ათას

კოდი	დასახელება	2023 ფაქტი	2024 გეგმა	2025 გეგმა
01 00	მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები	286,5	204,6	50,0
01 01	საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების საქმიანობის უზრუნველყოფა	286,5	204,6	50,0
01 02	საერთო დანიშნულების ხარჯები	0,0	0,0	0,0
02 00	ინფრასტრუქტურის განვითარება	9 670,8	12 623,2	13 590,7
02 01	საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება	3 010,1	6 420,2	7 428,4
02 02	წყლის სისტემების განვითარება	1 503,3	338,9	292,0
02 03	გარე განათება	145,3	36,5	150,3
02 04	ავარიული შენობების და სახლების რეაბილიტაცია	2 167,3	2 167,7	1 490,0
02 05	კეთილმოწყობის ღონისძიებები	1 104,0	1 380,4	1 690,8
02 06	სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი ღონისძიებები	1 303,3	1 759,6	2 033,3
02 07	საპროექტო დოკუმენტაციისა და საექსპერტო მომსახურების შესყიდვა	437,5	520,0	505,9
03 00	დასუფთავება და გარემოს დაცვა	129,8	895,2	329,2
03 01	დასუფთავება და ნარჩენების მართვა	70,5	40,0	20,0
03 02	მწვანე ნარგავების მოვლა-პატრონობა, განვითარება	0,0	0,0	0,0
03 03	კაპიტალური დაზანდებები დასუფთავების სფეროში	59,3	855,2	309,2
03 04	უპატრონო ცხოველების მოვლთი ღონისძიებები	0,0	0,0	0,0
04 00	განათლება	13,0	40,2	15,0
04 01	სკოლამდელი დაწესებულებების ფუნქციონირება	13,0	31,0	10,0
04 02	საგანმანათლებლო ცენტრის დაფინანსება	0,0	9,2	5,0
04 03	ზოგადი განათლების ხელშეწყობა	0,0	0,0	0,0
05 00	კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი	19,6	24,0	60,6



05 01	სპორტის განვითარების ხელშეწყობა	0,0	0,0	10,4
05 02	კულტურის სფეროს განვითარება	19,6	24,0	50,2
05 03	რელიგიური და სხვა სახის საზოგადოებრივ საქმიანობა	0,0	0,0	0,0
06 00	სოციალური და ჯანდაცვის პროგრამები	0,0	4,8	0,0
სულ ჯამი		10 119,7	13 792,0	14 045,5

2. განისაზღვროს დმანისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების კლება 0,0 ათასი ლ:

	დასახელება	2023 ფაქტი	2024 გეგმა	2025 გეგმა
31	არაფინანსური აქტივების კლება	126,3	200,0	0,0
31.1	ძირითადი აქტივები	22,3	0,0	0,0
31.4	არაწარმოებული აქტივები	104,0	200,0	0,0
31.4.1	მიწა	104,0	200,0	0,0

მუხლი 9. ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ფუნქციონალური კლასიფიკაცია

განისაზღვროს ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდა ფუნქციონალურ ჭრილში შემდგომ

კოდი	დასახელება	2023 ფაქტი	2024 გეგმა	2025 გეგმა
701	I. საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება	4 921,6	5 945,3	6 621,9
7011	აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა, ფინანსური და ფისკალური საქმიანობა, საგარეო ურთიერთობები	4 707,2	5 869,7	6 556,3
70111	აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა	4 707,2	5 869,7	6 556,3
7016	ვალთან დაკავშირებული ოპერაციები	75,9	75,6	65,6
702	II. თავდაცვა	138,5	0,0	0,0
7021	სამხედრო აღრიცხვის, გაწვევისა და მობილიზაციის სამსახური	138,5	0,0	0,0
704	IV. ეკონომიკური საქმიანობა	3 364,5	6 430,2	7 438,4
70421	სოფლის მეურნეობა	0,0	0,0	0,0
70451	საავტომობილო ტრანსპორტი და გზები	3 364,5	6 430,2	7 438,4
7049	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა ეკონომიკის სფეროში	0,0	0,0	0,0
705	V. გარემოს დაცვა	1 554,0	3 046,2	2 763,2
7051	ნარჩენების შეგროვება, გადამუშავება და განადგურება	1 494,8	2 161,0	2 424,0



7052	ჩამდინარე წყლების მართვა	0,0	0,0	0,0
7056	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა გარემოს დაცვის სფეროში	59,2	885,2	339,2
706	VI. საბინაო კომუნალური მეურნეობა	9 439,8	8 797,4	8 288,7
7061	ბინადმშენებლობა	2 432,2	2 696,7	2 528,3
7062	კომუნალური მეურნეობის განვითარება	0,0	0,0	0,0
7063	წყლის სისტემების განვითარება	3 230,4	1 338,9	704,9
7064	გარე განათება	683,4	636,5	750,3
7066	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საბინაო - კომუნალურ სფეროში	3 093,8	4 125,4	4 305,2
707	VII. ჯანმრთელობის დაცვა	111,7	179,2	191,7
7074	საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება	111,7	179,2	191,7
708	VIII. დასვენება, კულტურა და რელიგია	2 008,8	2 881,0	3 627,4
7081	მომსახურება დასვენებისა და სპორტის სფეროში	456,8	720,2	1 121,6
7082	მომსახურება კულტურის სფეროში	1 452,0	1 757,8	2 072,8
7084	რელიგიური და სხვა სახის საზოგადოებრივი საქმიანობა	100,0	200,0	200,0
7086	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა დასვენების, კულტურისა და რელიგიის სფეროში	0,0	203,0	233,0
709	IX. განათლება	2 017,7	2 646,5	2 786,0
7091	სკოლამდელი განათლება	1 188,4	1 631,6	1 849,6
7096	საგანმანათლებლო ცენტრის დაფინანსება	130,3	195,0	222,3
7098	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა განათლების სფეროში	699,0	819,9	714,1
710	X. სოციალური დაცვა	1 622,0	1 606,6	1 820,6
7101	ავადმყოფთა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვა	475,4	574,4	650,0
7102	ხანდაზმულთა სოციალური დაცვა	0,3	1,0	1,0
7107	სოციალური გაუცხოვების საკითხები რომელიც არ ექვემდებარება კლასიფიკაციას	153,0	227,0	299,8
7109	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა სოციალური დაცვის სფეროში	993,3	804,2	869,8
	სულ	25 040,1	31 532,4	33 537,9

თავი IV

დმანისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მთლიანი სალდო, ფინანსური

მუხლი 10. ბიუჯეტის საოპერაციო და მთლიანი სალდო



ბიუჯეტის მთლიანი სალდო განისაზღვროს -3 646,2 ათასი ლარით, ხოლო საოპერაციო 10 399,3 ათასი ლარით.

დასახელება	2023 ფაქტი	2024 წლის გეგმა			2025 წლის გეგმა		
		სულ	საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდიდან გამოყოფილი ტრანსფერი	სულ	საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდიდან გამოყოფილი ტრანსფერი
III. საოპერაციო სალდო	9 091,3	8 572,7	3 125,2	5 447,5	10 399,3	5 467,7	4 931,6
V. მთლიანი სალდო	-902,1	-5 019,3	-3 474,1	-1 545,2	-3 646,2	-2 067,2	-1 579,0

თავი V

დმანისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პრიორიტეტები 2024-2027

მუხლი 13. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის 2024-2028 წლების პრიორიტეტები და პროგრამები/ქვეპროგრამები

განისაზღვროს დმანისის მუნიციპალიტეტის პრიორიტეტები, პროგრამები და ქვეპროგრამები შემდეგი რიგით:

1. ინფრასტრუქტურის განვითარება (ორგანიზაციული კოდი 02 00) .

მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარებისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს მუნიციპალიტეტის მიმართულებით დმანისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს ინფრასტრუქტურის მშენებლობა- რეაბილიტაცია, ქალაქის საცხოვრებელი კორპუსების სახურავების და სისტემების, აგრეთვე გარე განათების ქსელის რეაბილიტაცია, ასევე საზოგადოებრივი სივრცეების მოვლა-შენახვა და დაფინანსდება მისი ექსპლუატაცია

პროგრამული კოდი	დასახელება	2025 წელი	2026 წელი	2027 წელი	2028 წელი
02 00	ინფრასტრუქტურის განვითარება	15 727,1	15 955,1	17 713,3	21 531,7
02 01	საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება	7 438,4	6 891,1	11 500,3	15 953,6
02 01 01	გზების მიმდინარე მოვლა-შენახვა	10,0	0,0	0,0	0,0
02 01 02	გზების მშენებლობა რეაბილიტაცია	7 428,3	6 891,1	11 500,3	15 953,6
02 02	წყლის სისტემების განვითარება	704,9	2 006,2	1 153,5	0,0
02 02 01	სასმელი წყლის სისტემის ექსპლუატაცია (მოვლა-შენახვა)	0,0	0,0	0,0	0,0
02 02 02	სასმელი წყლის სისტემის მშენებლობა რეაბილიტაცია	704,9	2 006,2	1 153,5	0,0
02 03	გარე განათება	750,3	714,9	680,0	680,0
02 03 01	გარე განათების ქსელის ექსპლუატაცია	0,0	0,0	0,0	0,0
02 03 02	გარე განათების ქსელის მიერ მოხმარებული ელექტროენერგიის გადასახადი	600,0	600,0	650,0	650,0
02 03 03	კაპიტალური დაზანდებები გარე განათების სფეროში	150,3	114,9	30,0	30,0



02 04	ავარიული შენობების და სახლების რეაბილიტაცია	2 528,3	3 443,0	2 615,0	2 615,0
02 04 01	მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული შენობების ექსპლუატაცია და რეაბილიტაცია	1 490,0	3 143,0	2 315,0	2 315,0
02 04 02	ავარიული ობიექტების შენობების რეაბილიტაცია (ბინათმშენებლობა)	988,3	250,0	250,0	250,0
02 04 03	ბინათმესაკუთრებთან მონაწილეობა	50,0	50,0	50,0	50,0
02 05	კეთილმოწყობის ღონისძიებები	1 690,8	1 065,1	0	747,1
02 05 01	საზოგადოებრივი სივრცეების მოწყობა-რეაბილიტაცია	1 690,8	1 065,1	0	747,1
02 05 02	შადრევან-აუზების ექსპლუატაცია, რეაბილიტაცია	0,0	0,0	0,0	0,0
02 05 03	სასაფლაოების მოწყობა მოვლა - პატრონობა, სარიტუალო ღონისძიებები	0,0	0,0	0,0	0,0
02 06	სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ღონისძიებები	2 060,1	1 284,8	1 214,5	986,0
02 07	საპროექტო დოკუმენტაციისა და საექსპერტო მომსახურების შესყიდვა	554,3	550,0	550,0	550,0

ა) საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება

კოდი	პროგრამის დასახელება	საგზაო ინფრასტრუქტურა	2025 წლის დაფინანსება ათას ლარში
02 01			7 438,4
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური		დმანისის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახური	
პროგრამის აღწერა		გზების ტექნიკური მდგომარეობის გაუმჯობესება ხელს შეუწყობს ქუჩებისა და გზების განტვირთვას სატრანსპორტო ნაკადისაგან და ავტოტრანსპორტის შეუფერხებელ მოძრაობას. მიუხედავად იმისა, რომ წლების მანძილზე მუნიციპალიტეტში აქტიურად ხორციელდება მასშტაბური სამუშაოები ინფრასტრუქტურის მოწესრიგების კუთხით, გრძელვადიანი საჭიროებიდან გამომდინარე, მუნიციპალიტეტში საგზაო მოძრაობის ხარისხის გაუმჯობესების, საგზაო მოძრაობის ორგანიზების და უსაფრთხოების, სატრანსპორტო და ქვეითი ნაკადის უსაფრთხოდ გადაადგილების მიზნით, მნიშვნელოვანია საგზაო ინფრასტრუქტურის ეტაპობრივი მოწესრიგება. პროგრამა ითვალისწინებს დმანისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ქალაქის ქუჩების, სოფლის მისასვლელი და შიდა გზების მიმდინარე და კაპიტალურ შეკეთებას. პროგრამა მოიცავს გზების (ორმული) და ფრაგმენტული შეკეთებას, ქვიშა - ხრეშოვანი მასალით მოწყობას, ქუჩების ტროტუარების მიმდინარე კაპიტალურ შეკეთებას, გზებზე ასფალტ/ბეტონის დაზიანებულ მონაკვეთებზე ბზარების დამუშავებას და ა.შ.	
პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი		პროგრამის მიზანია საგზაო ინფრასტრუქტურის გამართული ფუნქციონირება საავტომობილო გზებზე მოსახლეობის შეუფერხებელი და უსაფრთხო გადაადგილება, შექმნილია თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი საგზაო ინფრასტრუქტურა.	

ა.ა) გზების მიმდინარე მოვლა შენახვა



კოდი	პროგრამის დასახელება	გზების მიმდინარე მოვლა-შენახვა	2025 წლის დაფინანსება (ათას ლარში)
02 01 01			10,0
პროგრამის აღწერა		ქვეპროგრამის მიზანია მუნიციპალიტეტში არსებული გზების ხარისხიანი შენარჩუნება. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ადგილობრივი მნიშვნელობის ასფალტის გზის დაზიანებული საფარის ორმული შეკეთება, ბზარების ამოვსება ა/ზ ნარევით, მოთხოვნის შემთხვევაში აუცილებლობიდან გამომდინარე სიჩქარის შემზღუდავი ბარიერების და საგზაო ნიშნების მოწყობა.	
პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი		გზის საფარის მდგომარეობის შენარჩუნება	

ა.ბ) გზების მშენებლობა და რეაბილიტაცია

კოდი	პროგრამის დასახელება	გზების მშენებლობა/რეაბილიტაცია	2025 წლის დაფინანსება (ათას ლარში)
02 01 02			7 428,4
პროგრამის აღწერა		მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ადგილობრივი მნიშვნელობის გზების (მათ შორის, ხიდების, ტროტუარების და სხვა საგზაო ინფრასტრუქტურასთან დაკავშირებული ნაგებობების) კაპიტალურ შეკეთებას, მუნიციპალიტეტში ახალი გზების მშენებლობას. ქვეპროგრამის დაფინანსების ძირითად წყაროს წარმოადგენს სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი კაპიტალური ტრანსფერი, ადგილობრივი ბიუჯეტის საკუთარი სახსრები უმეტესწილად ხმარდება გზების პროექტირებასა და დაფინანსებული სამუშაოების შევსებას, მუნიციპალიტეტის მოასფალტებული გზების დაახლოებით 20 % აკმაყოფილებს საგზაო სტანდარტებს. 2022 წლისთვის იგეგმება ისეთი საგზაო სამუშაოები რომელიც დააკმაყოფილებს საგზაო სტანდარტებს, გზებს ექნება სანიაღვრე არხები რაც ხელს შეუწყობს წყლის გადინებას და ააცილებს მოსახლეობას ნალექით წამოქმნილი ნიაღვრისგან ეზოების დატბორვას. საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დმანისის მუნიციპალიტეტისათვის გამოსყოფი თანხების თანადაფინანსება გათვალისწინებული იქნება პროექტების შესაბამისად სულ 260 000 ლარი. მათ შორის : • ქ.დმანისში ჭავჭავაძის ქუჩის სარეაბილიტაციო სამუშაოებისათვის -10396 ლარი. • ქ.დმანისში წმ.ნინოს ქუჩისა და 9 აპრილის ქუჩის რეკონსტრუქცია-რეაბილიტაციაზე 143053 ლარი. • ფონიჭალა-მარნეული-გუგუთის საავტომობილო გზიდან სოფელ მაშვერაში მისასვლელი გზის რეაბილიტაციაზე -56907 ლარი. • ქ.დმანისში ვახტანგ გორგასლის ქუჩისა და სკოლასთან მისასვლელი გზის რეაბილიტაციაზე 32667 ლარი • სოფელ ვაკის შიდა გზის რეაბილიტაციაზე -16977ლარი	
პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი		საავტომობილო გზებზე მგზავრთა შეუფერხებელი და უსაფრთხო გადაადგილების უზრუნველყოფა და მოწესრიგებული მიმოსვლა.	

ბ) წყლის სისტემების განვითარება

კოდი	პროგრამის დასახელება	წყლის სისტემების განვითარება	2025 წლის დაფინანსება (ათას ლარში)
02 02			704,9
პროგრამის აღწერა		დმანისის მუნიციპალიტეტში წყალი 24 საათიანი გრაფიკით მიეწოდება მოსახლეობის დაახლოებით 40%. პროგრამა ითვალისწინებს დმანისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული წყლის სისტემების სრულ რეაბილიტაციას და საჭიროების შემთხვევაში ახლის მოწყობას, მათ შორის პრიორიტეტულია მოსახლეობის 24 საათიანი სასმელი წყლის უზრუნველყოფა წლის ნებისმიერ პერიოდში. რაც შემთხვევაში პროგრამა ასევე მოიცავს სარწყავი და სანიაღვრე არხების მოწყობა- რეაბილიტაციას. პროგრამა ხორციელდება მუნიციპალიტეტის მთელ ტერიტორიაზე, როგორც ქალაქ დმანისში, ასევე მუნიციპალიტეტში შემავალ ყველა ადმინისტრაციულ ერთეულში. წყლის სისტემის განვითარების პროგრამა შინაარსის მიხედვით არის როგორც კაპიტალური/ინფრასტრუქტურული (წყლის სისტემის რეაბილიტაცია, ახლის მოწყობა), ასევე, მომსახურების (წყლის სისტემის ექსპლუატაცია). რაც შეეხება მის ხანგრძლივობას, იგი ინფრასტრუქტურულ ნაწილში	



	წარმოადგენს მრავალწლიანს, ხოლო მომსახურების ნაწილში მუდმივმოქმედ პროგრამას. წყლის სისტემის განვითარების პროგრამა შედგება 2 ქვეპროგრამისგან: სასმელი წყლის მოვლა-შენახვის ქვეპროგრამა და სასმელი წყლის სისტემის რეაბილიტაციის ქვეპროგრამა.
	ექსპლუატაციის ქვეპროგრამის დაფინანსების წყაროა მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის საკუთარი შემოსავლები და „გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია“ შპს, რომელიც ემსახურება ქალაქ დმანისს და 12 სოფელს, ხოლო დანარჩენ სოფლებს მუნიციპალიტეტის მერის მიერ გამოცხადებულ ტენდერში გამარჯვებული კომპანია. რეაბილიტაციის ქვეპროგრამა უმეტესწილად ფინანსდება სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდიდან გამოყოფილი კაპიტალური ტრანსფერით.
პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	მუნიციპალიტეტის ყველა დასახლებაში სასმელი წყლის ხელმისაწვდომობის გაზრდა და უწყვეტ რეჟიმში მიწოდების უზრუნველყოფა;

ბ.ა) წყლის სისტემების ექსპლუატაცია

კოდი	ქვეპროგრამის დასახელება	წყლის სისტემების ექსპლუატაცია (მოვლა-შენახვა)	2025 წლის დაფინანსება (ათას ლარში)
02 02 01			0,0
პროგრამის აღწერა		ქალაქ დმანისსა და 5 ადმინისტრაციულ ერთეულში შემავალ 12 სოფელს ემსახურება შპს „გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია“, რომელიც ახორციელებს სასმელი წყლის სისტემების სარეაბილიტაციო სამუშაოებს, კერძოდ: არსებული წყლის სისტემის მაგისტრალის გაწმენდას, სასმელი წყლის რეზერვუარების გაწმენდასა და სპეციალური ხსნარით დაქლორვას, ასევე დაზიანებული ხაზების აღდგენას. ქვეპროგრამა ითვალისწინებს მუნიციპალიტეტის დანარჩენ 10 ადმინისტრაციულ ერთეულში შემავალ სოფლების ადგილობრივი დანიშნულების წყალმომარაგების ქსელის გამართულ და შეუფერხებელი ფუნქციონირების უზრუნველყოფას, სოფლებში წყლის სათავე-ნაგებობების, რეზერვუარების, შიდა-საუბნო და ცენტრალური ქსელების გადაუდებელი აუცილებლობით გამოწვეული დაზიანებული ადგილების სარეაბილიტაციო სამუშაოების განხორციელებას და შესაბამისი დოკუმენტაციის მომზადებას, რაც მიზნად ისახავს სოფლის მოსახლეობის, ასევე მოაგარაკებისა და ტურისტებისათვის უწყვეტ რეჟიმში სასმელი წყლით მომარაგებას. აღნიშნულ წყლის სისტემებს, მათ შორის მუნიციპალიტეტის სოფლებში არსებულ ჭაბურღილებს ემსახურება ააიპ „დმანისის სერვის ჯგუფი“ რომლის მეშვეობითაც ხორციელდება დაზიანებული წყლის სისტემების აღდგენა და მოვლა- შენახვა. ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება და ფინანსდება შემდეგი ღონისძიებები: - მწყობრიდან გამოსული წყლის მილების შეკეთება და გამოცვლა, სასმელი წყლის ბასეინების გაწმენდა-დაქლორვა. ქვეპროგრამის დაფინანსების წყაროა მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის საკუთარი შემოსავლები, რომელიც გაიცემა ტენდერში გამარჯვებული კომპანიის მიერ შესრულებული სამუშაოების მიხედვით.	
ქვეპროგრამის მიზანი		ადგილობრივი დანიშნულების წყალმომარაგების ქსელის გამართულ და შეუფერხებელი ფუნქციონირების უზრუნველყოფას, წყლის სისტემების გაუმართაობის დროული აღმოფხვრა და უწყვეტ რეჟიმში ექსპლუატაციის უზრუნველყოფა.	

ბ.ბ) სასმელი წყლის სისტემის მშენებლობა/რეაბილიტაცია

კოდი	ქვეპროგრამის დასახელება	წყლის სისტემების მშენებლობა/რეაბილიტაცია	2025 წლის დაფინანსება (ათას ლარში)
02 02 02			704,9
ქვეპროგრამის აღწერა		ქვეპროგრამის ფარგლებში სოფლების წყალმომარაგების და წყლის სისტემის გამართულად ფუნქციონირების მიზნით მოხდება წყალსადენის სისტემების მოწყობა-რეაბილიტაცია. საჭიროებისამებრ ძველი, ამორტიზირებული სისტემების აღდგენა და ახლის მშენებლობა. დმანისის მუნიციპალიტეტის ქ.დმანისში და 19 სოფლის წყალმომარაგების სისტემის მოწყობის და სათავე ნაგებობების მშენებლობისათვის 15%-იანი თანადაფინანსების სახით გამოყოფილი 1000,0 ათასი	



	ლარი.
ქვეპროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	მუნიციპალიტეტში მდგრადი სასმელი წყლის სისტემის შექმნა და შეუფერხებელი მიწოდება

ბ.გ) გარე განათება

კოდი	პროგრამის დასახელება	გარე განათება	2025 წლის დაფინანსება (ათას ლარში)
02 03			750,3
პროგრამის აღწერა		დამის პერიოდში მუნიციპალიტეტში უსაფრთხო გადაადგილებისა და კომფორტული გარემოს შექმნისთვის მნიშვნელოვანი ადგილი უკავია გამართულ გარე განათების ქსელის ფუნქციონირებას. პროგრამის ფარგლებში ფინანსდება გარე განათების სისტემის განვითარებისა და ექსპლუატაციისათვის საჭირო პროექტები. დღეის მდგომარეობით დმანისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გარე განათების ქსელი ფუნქციონირებს ქალაქ დმანისში და 15 ადმინისტრაციულ ერთეულში (დასახლებულ პუნქტებში). გარე განათების ქსელით მოცულია მუნიციპალიტეტის დასახლებული ტერიტორიის 70%. გარე განათების ქსელი მოიცავს 3441 ზე მეტ განათებისა და ელექტროგაყვანილობის ბოძს, 3441-ზე მეტ სანათ წერტილს, 30514 გრძივ მეტრზე სადენს და სხვა დამხმარე ინფრასტრუქტურას. პროგრამის მნიშვნელოვანი ნაწილი (დაახლოებით 120,0 ათას ლარი ყოველწლიურად) ხმარდება მოხმარებული ელექტროენერგიის ანაზღაურებას. გარე განათების პროგრამა შინაარსის ტიპის მიხედვით არის როგორც კაპიტალური / ინფრასტრუქტურის ხასიათის, ასევე მომსახურების. კაპიტალური ნაწილი მოიცავს გარე განათების ქსელის გაფართოება- გაუმჯობესების ღონისძიებებს, ხოლო მომსახურების ნაწილი - გარე განათების არსებული ქსელის ექსპლუატაციას (მათ შორის მოხმარებული ელექტროენერგიის ხარჯის ანაზღაურებას). პროგრამა შედგება 2 ქვეპროგრამისაგან, ესენია: გარე განათების ქსელის ექსპლუატაცია,კაპიტალური დაზანდებები გარე განათების სფეროში. ხანგრძლივობის მიხედვით, ექსპლუატაციის ნაწილში პროგრამა არის მუდმივმოქმედი, ხოლო ინფრასტრუქტურულ ნაწილში- მრავალწლიანი. ექსპლუატაციის ხარჯების დაფინანსება ხორციელდება მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის საკუთარი შემოსავლებიდან და კაპიტალური დანახარჯებიდან. გარე განათების ქსელის მოვლა-პატრონობის ქვეპროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული გარე განათების ქსელის გამართული ფუნქციონირებისათვის ხორციელდება მისი პერიოდული შეკეთება, რომელიც მოიცავს: - მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებულ ქსელში მწყობრიდან გამოსული ნათურების გამოცვლას; - ამორტიზებული და დაზიანებული განათების ბოძების შეკეთება, ახლით ჩანაცვლებას; - დაზიანებული სადენების აღდგენა, შეკეთებას.	
პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი		მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდგრადი განათების სისტემის შექმნა, რომელიც მთელი წლის განმავლობაში, ნებისმიერ კლიმატურ პირობებში, შეძლებს უზრუნველყოს გარე განათების სისტემის შეუფერხებელი ფუნქციონირება.	

გ.ა) გარე განათების ქსელის ექსპლუატაცია

კოდი	ქვეპროგრამის დასახელება	გარე განათების ქსელის ექსპლუატაცია (მოვლა-შენახვა)	2025 წლის დაფინანსება ათას ლარში
02 03 01			0,0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური		ა(ა) იპ დმანისის სერვის ჯგუფი	



ქვეპროგრამის აღწერა	მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსებული 9550 სანათი წერტილის გარე განთების ქსელის მოვლა-პატრონობის ქვეპროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული გარე განთების ქსელის გამართული ფუნქციონირებისათვის ხორციელდება მისი პერიოდული შეკეთება, რომელიც მოიცავს: - მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებულ ქსელში მწყობრიდან გამოსული ნათურების გამოცვლას; - ამორტიზებული და დაზიანებული განთების ბოძების შეკეთება, ახალი ჩანაცვლებას; - დაზიანებული სადენების აღდგენა, შეკეთებას. ქვეპროგრამის ფარგლებში ასევე ფინანსდება 7 საშტატო ერთეულის ხელფასები.
ქვეპროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	გარე და დეკორატიული განათების სისტემაში პერიოდულად შექმნილი შეფერხების დროული აღმოფხვრა განათების სისტემის გამართული ფუნქციონირებისთვის.

გ.ბ) გარე განათების ქსელის მიერ მოხმარებული ელექტროენერგიის გადასახადი

კოდი	ქვეპროგრამის დასახელება	გარე განათების ქსელის მიერ მოხმარებული ელექტროენერგიის გადასახადი	2025 წლის დაფინანსება (ათას ლარში)
02 03 02			600,0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური		დმანისის მუნიციპალიტეტის მერია	
ქვეპროგრამის აღწერა		ქვეპროგრამა მოიცავს გარე განათების ქსელის მიერ მოხმარებული ელექტროენერგიის ხარჯის ანაზღაურებას.	
ქვეპროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი		ქვეპროგრამის მიზანია გარე განათების სისტემის გამართული ფუნქციონირება, სანათების რეაბილიტაციის და კონტროლის ხარჯზე ერთი სანათის მიერ დახარჯული კილოვატ/საათი ელექტროენერგიის შემცირება, რაც შესაბამისად გამოიწვევს ხარჯის შემცირებას.	

გ.გ) კაპიტალური დაბანდებები გარე განათების სფეროში.

კოდი	ქვეპროგრამის დასახელება	კაპიტალური დაბანდებები გარე განათების სფეროში	2025 წლის დაფინანსება (ათას ლარში)
02 03 03			150,3
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური		მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახური	
ქვეპროგრამის აღწერა		კაპიტალური ნაწილი მოიცავს გარე განათების ქსელის გაფართოება/ გაუმჯობესების ღონისძიებებს, როგორც არის გარე განათების სისტემების მოწყობა, ახალი სანათი წერტილების დამატება, გარე განათების ახალი თანამედროვე ინფრასტრუქტურის მოწყობა მუნიციპალიტეტის უბნებში და სხვა. ხანგრძლივობის მიხედვით, ინფრასტრუქტურულ ნაწილში - მრავალწლიანი. პროგრამის დაფინანსების წყაროა მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის საკუთარი შემოსულობები და სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი კაპიტალური ტრანსფერი (ძირითადად სოფლის პროგრამა).	
ქვეპროგრამის მიზანი		მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდგრადი განათების სისტემის შექმნა	

დ) ბინათმშენებლობა

კოდი	პროგრამის დასახელება	ავარიული შენობების და სახლების რეაბილიტაცია	2025 წლის დაფინანსება (ათას ლარში)
02 04			2 528,3



პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	დმანისის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახური
პროგრამის აღწერა	პროგრამა ითვალისწინებს დმანისის მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული შენობების მიმდინარე და კაპიტალურ შეკეთებას, ხოლო ქალაქ დმანისში არსებული მრავალბინიანი კორპუსების სახურავების და ფასადების რეაბილიტაციას; ასევე გათვალისწინებული იქნება ავარიული ობიექტების და შენობის აღდგენა-რეაბილიტაცია, რითაც თავიდან ავიცილებთ მოზინადრეთა უსაფრთხოების ამაღლებას. პროგრამა ითვალისწინებს მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების კეთილმოწყობას და მოსახლეობისათვის საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებას. პროგრამის ფარგლებში განხორციელდება სახურავების რეაბილიტაცია, ფასადების მოწესრიგება, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე აღრიცხულ მრავალბინიან საცხოვრებელ სახლებს, აღნიშნული სახლების 50%-ის ფასადები საჭიროებს რემონტს. სოფლებში არსებული მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების სახურავები კარგ მდგომარეობაშია და არ საჭიროებს რეაბილიტაციას.
პროგრამის მიზანი	მრავალბინიანი სახლების მოზინადრეთათვის უსაფრთხო, გაუმჯობესებული და კომფორტული საცხოვრებელი გარემოს შექმნა

დ.ა) ბალანსზე რიცხული შენობების ექსპლოატაცია დარეაბილიტაცია

კოდი	ქვეპროგრამის დასახელება	მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული შენობების ექსპლუატაცია და რეაბილიტაცია	2025წლის დაფინანსება (ათას ლარში)
02 04 01			1 490,0
	ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	დმანისის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახური	
	ქვეპროგრამის მიზანი	მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული შენობის კეთილმოწყობა	
	ქვეპროგრამის აღწერა	ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტის ბალანსზე არსებული ადმინისტრაციული შენობის რეაბილიტაცია, სახურავების შეცვლა/შეკეთება, ფასადის რეაბილიტაცია, ადგილობრივი სახსრებით განხორციელდება 2025 წელს დაწყებული შემდეგი პროექტების დასრულება:- ქ.დმანისში 9 აპრილის ქ.N167 -ში მდებარე სერვის ჯგუფის შენობის რეაბილიტაციის -167937 ლარი. - სოფელ ირგანაში სარიტუალო დარბაზის, სოფლის ამბულატორიის და ადმინისტრაციული შენობის რეაბილიტაციაზე -100000 ლარი. - სოფელ განთიადში საჭიდაო დარბაზის რეაბილიტაციაზე 266547 ლარი. ხოლო არსებული რესურსების ფარგლებში განხორციელდება -ქ. დმანისში ააიპ დმანისის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის რეაბილიტაციაზე 108 000 ლარი. -ქ.დმანისში 9 აპრილის ქ.N34-ში მდებარე ბიბლიოთეკის შენობის სრული რეაბილიტაციაზე 183513 ლარი. -ქ.დმანისში წმ.ნინოს ქ.N56-ში არსებული სპორტული დარბაზის შენობის სრული რეაბილიტაცია -51903 ლარი. -სოფელ გოდაგდაგში სარიტუალო დარბაზის მშენებლობა 42700 ლარი. - ქ .დმანისში გორგასლის ქ.N17-ში მდებარე შენობის სახურავის რეაბილიტაცია-168000 ლარი. ქ.დმანისში დასახლებაში არსებულ სახლების სახურავების რეაბილიტაციაზე 300 000 ლარი და ბინათმესაკუთრეთა კორპუსების რეაბილიტაციაზე 50 000 ლარი.	



ე) კეთილმოწყობა

კოდი	პროგრამის დასახელება	კეთილმოწყობის ღონისძიებები	2025 წლის დაფინანსება (ათას ლარში)
02 05			1 690,8
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური		მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახური	
პროგრამის აღწერა		პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიის კეთილმოწყობის სამუშაოები, უზრუნველყოფილი იქნება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სკვერებისა და პარკების, დასასვენებელი ადგილების მოვლა და საჭიროების შემთხვევაში მათი რეაბილიტაცია და აგრეთვე ახალი სკვერების, პარკების და დასასვენებელი ადგილების მოწყობა, მოსახლეობისათვის ფუნქციონალურად გამართული დასვენების და გართობის ადგილების შექმნის მიზნით. საზოგადოებრივი ტრანსპორტის მოსაცდელის ადგილზე, საფეხმავლო გზებზე დაზიანებული ბორდიურების და ფილების ამოცვლა, ქალაქში ხიდებზე მოაჯირების და ბორდიურების შეღებვა, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სკვერების მოწესრიგება პროგრამით ფინანსდება ქვეპროგრამა სკვერები და მინისპორტული მოედნების მოწყობა. პროგრამა ფინანსდება როგორც ადგილობრივი ბიუჯეტით .	
პროგრამის მიზანი დამოსალოდნელი შედეგი		პროგრამის მიზანია მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობა, მოსახლეობისათვის ფუნქციონალურად გამართული დასვენების დაგართობის ადგილების შექმნა, შედეგად კეთილმოწყობილია მუნიციპალიტეტი დამოსახლეობას აქვს დასვენების და გართობის ზონა.	

ე.ა) საზოგადოებრივი სივრცეების მოწყობა- რეაბილიტაცია

კოდი	ქვე პროგრამის დასახელება	საზოგადოებრივი სივრცეების მოწყობა, რეაბილიტაცია,	2025 წლის დაფინანსება (ათას ლარში)
02 05 01		ექსპლუატაცია	1 690,8
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური		მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახური	
ქვეპროგრამის აღწერა -სოფელ		პროგრამა ითვალისწინებს დმანისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიებზე საზოგადოებრივი სივრცეების მოწყობას კერძოდ მინი სტადიონების, სკვერების და დასასვენებელი პარკების თანამედროვე სტილის ატრაქციონებით უზრუნველყოფას. მუნიციპალიტეტის მასშტაბით არსებობს 18 მინი-სტადიონი, აქედან რეაბილიტირებულია 8 მინი-სტადიონი. ასევე 8 სკვერი (სოფელ მაშავერას, სოფელ დიდი დმანისი-ვარდისუბნის, სოფელ განთიადის, სოფელ ჯავახის, სოფელ გომარეთის და ქალაქის 3 სკვერი). საანგარიშო წელს განხორციელდება 982500 ლარის, შემდეგი პროექტების რეაბილიტაცია : -მამიშლოში მინი სტადიონის და სკვერის მოწყობაზე -523502 ლარი. -სოფელ ზემო ოროზმანშიმინი სტადიონის მიმდებარედ სკვერის მოწყობაზე - 166024 ლარი. -სოფელ ბაზაქლოში მინი სტადიონის მოწყობის სამუშაოებზე -251959 ლარი -ქ.დმანისში პოლიციასთან საპარკინგე სივრცის კეთილმოწყობაზე -41014 ლარი.	
ქვეპროგრამის მიზანი		მოსახლეობის დასვენებისა და ჯანსაღი სხოვრებისათვის საჭირო გარემოს შექმნა	

ვ) სოფლის მხარდაჭერის პროგრამა.

კოდი	პროგრამის დასახელება	სოფლის მხარდაჭერის პროგრამა	2025 წლის დაფინანსება ათას ლარში
02 06			2 060,1



პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახური
პროგრამის აღწერა	პროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტის შესაბამისი სამსახურის, მერიისა და მერიის წარმომადგენლების ჩართულობით იგეგმება და ხორციელდება სოფლის მოსახლეობასთან შეხვედრები, შემდგომ მათი მოთხოვნების შესაბამისად ჩამოყალიბებული პრიორიტეტების გათვალისწინებით ხორციელდება საპროექტო დოკუმენტაციის მომზადება და იგეგმება ინფრასტრუქტურული სამუშაოები.
პროგრამის მიზანი	სოფლად მცხოვრები მოსახლეობის ინფრასტრუქტურული პირობების გაუმჯობესება

ზ) საპროექტო დოკუმენტაციის მომზადება და საექსპერტო მომსახურება.

კოდი	პროგრამის დასახელება	საპროექტო დოკუმენტაციისა და საექსპერტო მომსახურების შესყიდვა	2025 წლის დაფინანსება ათას ლარში
02 07			554,3
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახური		
პროგრამის აღწერა	ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება მუნიციპალიტეტში განსაზღვრული ინფრასტრუქტურული პროექტების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შესყიდვა. ამასთან, იმ ხელშეკრულებებზე რომელთა ღირებულება არ აღემატება 50.0 ათას ლარს პროექტის შემდგენი ახორციელებს შესრულებული სამუშაოების ექსპერტიზას. ამ პროგრამის ფარგლებში ასევე ფინანსდება 50.0 ლარზე მეტი თანხის ინფრასტრუქტურული პროექტების ტექნიკური ზედამხედველობის (საექსპერტო მომსახურების) სამუშაოების შესყიდვა. პროგრამის მიზანია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული პროექტებისათვის დროულად და კვალიფიციურად მოხდეს საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა. ასევე, პროექტების განხორციელებისას ჩატარებული სამუშაოების ხარისხის უზრუნველყოფა მათზე მუდმივი ზედამხედველობის განხორციელების გზით. პროგრამის თანხების განკარგვა ხორციელდება რეგიონალურ დონეზე ჩატარებული კონსოლიდირებული ტენდერების საშუალებით.		
პროგრამის მიზანი	ინფრასტრუქტურული პროექტების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შესყიდვა		

2. დასუფთავება და გარემოს დაცვა

დასუფთავება და გარემოს დაცვის პრიორიტეტის დაფინანსებისათვის განისაზღვროს ათასი ლარი. (პროგრამების და ქვეპროგრამების მიზნები და მოსალოდნელი შედეგები განისაზღვროს შემდეგი რედაქცია

პროგრამული კოდი	დასახელება	2025 წელი	2026 წელი	2027 წელი	2028 წელი
03 00	დასუფთავება და გარემოს დაცვა	2 763,2	2 190,6	2 220,6	2 220,6
03 01	დასუფთავება და ნარჩენების გატანა	2 424,0	2 130,6	2 130,6	2 130,6
03 01 01	ა(ა)იპ დმანისის სერვის ჯგუფი	2 424,0	2 130,6	2 130,6	2 130,6
03 02	მწვანე ნარგავების მოვლა-პატრონობა, განვითარება	0,0	0,0	0,0	0,0
03 03	კაპიტალური დაბანდები დასუფთავების სფეროში	309,2	30,0	60,0	60,0



03 04	უპატრონო ცხოველების მოვლითი ღონისძიებები	30,0	30,0	30,0	30,0
-------	--	------	------	------	------

ა) დასუფთავება და ნარჩენების გატანა

კოდი	პროგრამის დასახელება	დასუფთავება და გარემოს დაცვა	2025 წლის დაფინანსება (ათას ლარში)
03 01			2 424,0
	პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ა(ა)იპ დმანისის სერვის ჯგუფი	
	პროგრამის აღწერა	დმანისის მუნიციპალიტეტში დასუფთავების ღონისძიებების განხორციელება ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრიორიტეტს წარმოადგენს. ამ მიზნით მუნიციპალიტეტი ნაყოფიერად თანამშრომლობს მუნიციპალური განვითარების ფონდთან, რომლის ფარგლებშიც მუნიციპალური განვითარების ფონდის სესხით განხორციელდა ნაგვის ურნების შეძენა. ასევე, მუნიციპალიტეტს გადმოეცა ნაგავშიდი მანქანები. დასუფთავების ღონისძიებებთან დაკავშირებული კაპიტალური ხარჯები ძირითადად გაიწევა მუნიციპალური ბიუჯეტის არასაკუთარი შემოსავლებიდან (სესხი, სახელმწიფო ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერი), ხოლო მიმდინარე ხარჯები, ისეთი როგორიცაა ყოველდღიურად ნარჩენების მოგროვება და გატანა ნაგავსაყრელ პოლიგონზე ფინანსდება მუნიციპალური ბიუჯეტის საკუთარი შემოსავლებიდან, კერძოდ დასუფთავება და ნარჩენების გატანის პროგრამიდან. პროგრამის ფარგლებში ა(ა)იპ -დმანისის სერვის ჯგუფი ახორციელებს ქალაქისა და მუნიციპალიტეტში შემავალ ადმინისტრაციული ერთეულებიდან ნაგვის ნარჩენების მოგროვებას და გატანას, რომელსაც ემსახურება 3 ერთეული ნაგვის გამტანი ავტომობილი. სამუშაოები ხორციელდება მუნიციპალიტეტის ქალაქში და სოფლებში.რომლის გატანაც ხდება ქალაქ ბოლნისში არსებულ სპეციალურ ნაგავსაყრელზე. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსებული კონტეინერების რაოდენობა შეადგენს 650 ერთეულს,მათ შორის 172 განთავსებულია ქალაქში,ხოლო დანარჩენი სოფლებში-478. პროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტის ტერიტორიიდან ყოველდღიურად გადის დაახლოებით 34 მ/კუბ ნარჩენი,ზაფხულის სეზონზე საგრძნობლად იზრდება გატანილი ნარჩენების მოცულობა. პროგრამის ფარგლებში ხორციელდება 78000 მ2 ქუჩებისა და 24180 მ2 სკვერების დასუფთავება. პროგრამის ფარგლებში ხორციელდება არსებული პარკების და სკვერების მოვლა - პატრონობა,კერძოდარსებული მწვანე ნარგავების მოვლის და აღდგენის ღონისძიებები ,ნიადაგის მომზადება,ერთწლიანი და მრავალწლიანი ნარგავების დარგვა,მორწყვა,შეწამვლა აღნიშნულ ღონისძიებებს ემსახურება 3 თანამშრომელი. კომუნალური სამსახური მომსახურებას უწევს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსებულ გარე განათების ქსელის მოვლა-პატრონობას 3441 სანათი წერტილის დაზიანების შემთხვევაში გამოცვლას,ამორტიზებული ბოძების შეკეთებას ახლით ჩანაცვლებას,აღნიშნულ ღონისძიებას ემსახურება 3 თანამშრომელი. ქვეპროგრამის ფარგლებში დმანისის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული სოციალურად დაუცველი ოჯახების სარგებლობაში არსებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთების უფასო მოხვნა ერთ ჰექტრამდე იმ ოჯახებისათვის,რომელთა სარეიტინგო ქულა არ აღემატება 100000 -ს. ასევე მომსახურებას გაუწევს სასმელი წყლის სისტემების მოვლა-შენახვას-დაზიანებული ხაზების დროულ აღდგენას და ხარისხიანი წყლის მიწოდება მოსახლეობისათვის. პროგრამისთვის გამოყოფილ ასიგნებები ასევე მოიცავს ა(ა)იპ - დმანისის მუნიციპალიტეტის კომუნალური სამსახურის ადმინისტრაციულ ხარჯებს, მათ შორის, ხელშეკრულებით აყვანილ პერსონალის ხელფასებს.სულ სამსახურში დასაქმებულია 75 თანამშრომელი	
	პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	მუნიციპალიტეტში სუფთა და ჯანსაღი გარემოს პირობების არსებობა	

ა.ა)დასუფთავება და ნარჩენების გატანა

კოდი	ქვეპროგრამის დასახელება	დასუფთავება და ნარჩენების გატანა	2025 წლის დაფინანსება (ათას ლარში)
03 01 01			2 424,0



ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ა(ა)იპ დმანისის სერვის ჯგუფი
ქვეპროგრამის აღწერა	პროგრამის ფარგლებში ააიპ „დმანისის მუნიციპალიტეტის კომუნალური სამსახური“ ახორციელებს ქალაქსა და მუნიციპალიტეტში შემავალ ადმინისტრაციული ერთეულებიდან ნარჩენების მოგროვებას და გატანას, რომელსაც ემსახურება 3 ერთეული ნაგვის გამტანი ავტომანქანა და ნარჩენების გატანა (კონტეინერების დაცლა) ხორციელდება ქალაქ დმანისიდან და მუნიციპალიტეტის 43 სოფლიდან. შეგროვებული ნარჩენები გადის ქალაქ ბოლნისის ნაგავსაყრელზე. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ჯამში განთავსებული კონტეინერების რაოდენობა შეადგენს 650 ერთეულს, მათ შორის 172 განთავსებულია ქალაქში და 478 მუნიციპალიტეტის სოფლებში. პროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტის ტერიტორიიდან ყოველდღიურად გადის დაახლოებით 34 მ/კუბ ნარჩენი, ზაფხულის სეზონზე საგრძნობლად იზრდება გატანილი ნარჩენის მოცულობა. პროგრამის ფარგლებში ხორციელდება 78 000 მ² ქუჩებისა და 24 180მ² სკვერების დასუფთავება. პროგრამიდან ფინანსდება მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების ადმინისტრაციული შენობისათვის შესაბამისი მომსახურების გაწევა და სხვა სამუშაოების შესრულება. პროგრამის ფარგლებში ქ.დმანისში, მიმდებარე სოფლებში ხორციელდება ქუჩებისა და ტროტუარების დასუფთავება, მერიის საკუთრებაში ადმინისტრაციული შენობების დასუფთავება.სადაც დასაქმებულია 75 თანამშრომელი
ქვეპროგრამის მიზანი	პროგრამის მიზანია მუნიციპალიტეტში ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესება და შენარჩუნება და დასუფთავების მუნიციპალიტეტის სერვისის გამართული ფუნქციონირება რის შედეგად მიიღწევა ეკოლოგიურად ჯანსაღი გარემო და დასუფთავების მუნიციპალური სერვისის ხარისხიანი ფუნქციონირება.

ბ) მწვანე ნარგავების მოვლა-პატრონობა

კოდი	პროგრამის დასახელება	მწვანე ნარგავების მოვლა-პატრონობა, განვითარება	2025 წლის დაფინანსება ათას ლარში
03 02			0
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ა(ა)იპ დმანისის კომუნალური სამსახური		
პროგრამის აღწერა	პროგრამის ფარგლებში ხორციელდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული პარკებისა (რაოდენობა) და სკვერების(რაოდენობა) მოვლა-პატრონობა. კერძოდ, სკვერებსა და გამწვანებულ ტერიტორიებზე ტარდება მწვანე ნარგავების მოვლისა და აღდგენის ღონისძიებები, ნიადაგის მომზადება, დასუფთავება, ერთწლიანი და მრავალწლიანი ნარგავების დარგვა, მორწყვა, შეწამვლა და საჭიროების შემთხვევაში შხამქიმიკატების შეტანა. პროგრამის ფარგლებში ასევე ფინანსდება ქალაქ დმანისის ტერიტორიის კეთილმოწყობითი და გამწვანებითი ღონისძიებები. პროგრამის ფარგლებში ხორციელდება 2 სამტატო ერთეულის ხელფასის დაფინანსება.		
პროგრამის მიზანი	მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებულ სკვერებში და პარკებში მოსახლეობისთვის სასიამოვნო, ჯანსაღი გარემოს შექმნა.		

გ) კაპ. დაბანდებები დასუფთავების სფეროში

კოდი	პროგრამის დასახელება	კაპიტალური დაბანდებები დასუფთავების სფეროში	2025 წლის დაფინანსება (ათას ლარში)
03 03			309,2
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	დმანისის მუნიციპალიტეტის მერია		
პროგრამის აღწერა	დასუფთავება ერთ-ერთ მნიშვნელოვანი პრიორიტეტია. შეძენილი ნაგავშიდი მანქანები და ნაგვის ურნები ვერ აკმაყოფილებს სრულად იმ მოთხოვნებს რაც მუნიციპალიტეტს გააჩნია. აქედან გამომდინარე, პროგრამის ფარგლებში ხორციელდება მყარი ნარჩენების გატანისათვის საჭირო ინვენტარის, ნაგავშიდი მანქანების და ნაგვის კონტეინერების შეძენა, რათა ნელნელა სრულად მოხდეს მუნიციპალიტეტის ტერიტორიის ათვისება.კერძოდ 2025 წელს გათვალისწინებულია ერთი ცალი ამწე კალათის და სატვირთო ავტომანქანის დარჩენილი თანხების განაღდება-107470 ლარის ოდენობით,ასევე დასაფინანსებელია ორი ერთეული ნაგვის მანქანების დარჩენილი თანხა 378590ლარის ოდენობით დაერთი ცალი ავტობუსის თანხა		



103050 ლარი.

პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	დმანისის მუნიციპალიტეტში სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის ხელშეწყობა

დ) უპატრონო ცხოველების მოვლითი ღონისძიებები

კოდი	პროგრამის დასახელება	უპატრონო ცხოველების მოვლითი ღონისძიებები	2025 წლის დაფინანსება (ათას ლარში)
03 04			30,0
	პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ა(ა)იპ დმანისის კომუნალური სამსახური	
